

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #7

ქ. თბილისი

2023 წლის 26 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1. ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. ნინო ფარესაშვილი 4. დავით ნებიერიძე 5. საბა გოგიბერიძე 6. ელენე გაჩეჩილაძე 7. ლიკა წერეთელი 8. ლია მაჭავარიანი 9. ნათელა არჩვაძე 10. ამირან ბიბილაშვილი 11. მარიამ ახალკაცაშვილი 12. მაკა მურვანიძე 13. ვასილ ბერიძე 14. მარინა გარიშვილი 15. მაია ივანიძე 16. ავთანდილ ტუკვაძე 17. კახა კუჭუხიძე 18. ვლადიმერ გამსახურდია 19. იზაბელა პეტრიაშვილი 20. ბარბარე მამაგეიშვილი 21. ვლადიმერ მარგველაშვილი 22. თინა ქიტუაშვილი 23. ზურაბ ჩხაიძე 24. კახაბერ ლორია 25. ანასტასია ზაქარიაძე 26. ელისაბედ ბუალავა 27. მანანა რუსიეშვილი 28. თეა ქარჩავა 29. ლერი თავაძე 30. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 31. ინგა სანიკიძე 32. საბა გიორგაძე 33. ლუკა მამალაშვილი 34. ლუკა ნარმანია 35. ზურაბ გაიპარაშვილი 36. ნინო პავლიაშვილი 37. ციური სუმბაძე 38. სოფიო ხუციშვილი 39. ადა ნემსაძე 40. თეიმურაზ მაჩაიძე 41. თამილა ჩალაძე 42. მარინე ხუციშვილი 43. გვანცა გვანცელაძე 44. ნოდარ ლომიძე 45. თეა შავაძე (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. ჯაბა სამუშია 2. ნიკოლოზ ავაბაშვილი 3. ავთანდილ ამირანაშვილი 4. მიხეილ ბახტაძე 5. ცისანა გავაშელი 6. ვასილ გონაშვილი 7. მარინე ზაუტაშვილი 8. ალექსანდრე კუხიანიძე 9. გია ლობჯანიძე 10. გაგა ლომიძე 11. ვახტანგ მალრაძე 12. ავთანდილ სილაგაძე 13. გოჩა ფერაძე 14. ომარ ფურთუხია 15. ზაქარია ქიტიაშვილი 16. რამაზ ქურდაძე 17. თამაზ ყარალაშვილი 18. ნუგზარ შავლაყაძე 19. მორის შალიკაშვილი 20. რევაზ შანიძე 21. შარაშიძე ნინო 22. თემურ შენგელია 23. მარინე ჩიტაშვილი 24. ალექსანდრე ცისკარიძე 25. მარი წერეთელი 26. ეთერ ხარაიშვილი 27. მანანა ხაჩიძე 28. მამუკა ხუსკივაძე 29. ქეთევან ხუციშვილი (დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა დასამტკიცებლად წარმოადგინა დღის წესრიგი, გარკვეული დაზუსტებით, კერძოდ, სხდომის სავარაუდო დღის წესრიგიდან უნდა იქნეს ამოღებული მე-9 საკითხი - "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - „ტოლერანტობის საერთაშორისო საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის №104/2023

დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ინგა ზამბახიძე), ვინაიდან საკითხი საჭიროებს გარკვეული დეტალების დაზუსტებას.

ასევე, შეიცვალა დღის წესრიგის მე-6 და მე-7 საკითხების მომხსენებელი და აღნიშნულ საკითხებს პერსონალის მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელი - შორენა ერისთავი წარმოადგენს.

შესაბამისად, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა შემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირებული დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ” თსუ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის #114/2023 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი);

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ (მომხსენებელი: დალი კანდელაკი);

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ (მომხსენებელი: რამაზ ხომერიკი);

4. თსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილების შეტანის, ახალი სტრუქტურული ერთეულის - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნისა და აქედან გამომდინარე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე);

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (მომხსენებელი: გიორგი თავაძე);

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურაში ცვლილების შეტანისა და მისგან გამომდინარე პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულებაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: შორენა ერისთავი);

7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: შორენა ერისთავი);

8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტისა და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე);

9. “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - “თსუ-ის ქალთა საზოგადოების (ცენტრი)” შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის №103/2023 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: როზეტა გუჭეჯიანი);

10. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ბავშვის უფლებების დაცვის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ თსუ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის #119/2023 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ნინო შატბერაშვილი);

11. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებულ შენობებში ყავის და სნეფის აპარატების განთავსების შესახებ (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე);

12. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტზე რიცხული დაზგების, ხელსაწყო-დანადგარებისა და რკინის სეიფის გასხვისების შესახებ (17 ერთეული) - (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე);

13. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის - პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შენობის (მის: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N31ა, საკადასტრო კოდი: 01.14.05.006.117) მესამე სართულზე მდებარე 650 კვ.მ. ფართის სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრისათვის, უსასყიდლოდ, ცენტრის არსებობის ვადით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე);

14. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში ზანდუკელის ქ. N16-ში (საკადასტრო კოდი: 01.15.02.012.012, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ISET) მდებარე შენობის სახურავის ნაწილის -10 კვ.მ ფართის სს -სილქნეტისათვის, სატელეკომუნიკაციო სადგურის განთავსების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე);

15.წარმომადგენლობითის საბჭოს წევრის - ლერი თავაძის მიერ წარმოდგენილი ინიციატივის განხილვისა და მიზანშეწონილებიდან გამომდინარე, კომისიის შექმნის შესახებ (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი).

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად:

1.წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა სენატის წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის №114/2023 დადგენილება. აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭო არის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შერჩევაზე და წარმომადგენლობითი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენაზე უფლებამოსილი ორგანო. წარმოდგენილი დადგენილების მიხედვით, აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევამდე, 2023 წლის 26 დეკემბრიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვრა ლაშა სალინაძე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის №114/2023 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 3).

2. მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა წარმოადგინა საკითხი - „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში“ - ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ. აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები და დამატებები შეიმუშავა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭომ. დოკუმენტი დაიხვეწა სტილისტურად, ზოგი მუხლი შინაარსობრივად ჩამოყალიბდა ახლებურად. მომხსენებელმა ისაუბრა რიგ პროცედურასთან დაკავშირებულ ცვლილებებზე, მათ შორის წარმოდგენილი დოკუმენტის იმ მუხლზე, რომლის მიხედვითაც, აპარატის უფროსის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა) შემთხვევაში, მის მოვალეობას შეასრულებს აპარატის სამდივნოს წევრი, აპარატის უფროსისა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შეთანხმების საფუძველზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში ცვლილებები და დამატებები წარმოდგენილი სახით (დანართი 4);

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის საკითხი საბჭოების წინაშე წარმოადგინა ფაკულტეტის დეკანმა - რამაზ ხომერიკმა. აღნიშნა, რომ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის თვარგლებში თსუ-ს გადმოეცა რამდენიმე კარგად აღჭურვილი საინჟინრო ლაბორატორია, რომლებიც მიზანშეწონილია ცალკე სტრუქტურულ ერთეულებად იყოს წარმოდგენილი ფაკულტეტის სტრუქტურაში. ასევე, ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ყალიბდება თსუ მეორე კორპუსში განთავსებული ევგენი ხარაძის სახელობის ობსერვატორია და თსუ მე-11 კორპუსში განთავსებული ვივარიუმი. წარმოდგენილი ცვლილებები მონონებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები და დამატებები წარმოადგენილი სახით (დანართი 5);

4. თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ლაშა სალინაძემ, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე განსახილველად წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4 საკითხი. აღინიშნა, რომ კანონის მოთხოვნაა, ყველა დანესებულებას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი. მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ს ჰყავს მსგავსი კადრი, საკითხის კანონთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალა ახალი სტრუქტურული ერთეულის - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნა. მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, აუცილებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში შესაბამისი ცვლილების

შეტანა და გამომდინარე აქედან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცდეს თსუ ადმინისტრაციის სტრუქტურაში წარმოდგენილი ცვლილება და შეიქმნას ახალი სტრუქტურული ერთეული - „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების სამსახური.“

2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულება წარმოდგენილი სახით (დანართი 6);

5. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე განსახილველად წარმოდგენილი იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებაში შესატანი ცვლილებები. როგორც საკითხის მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილებები განპირობებულია დებულების მოქმედ ვერსიაში ტექნიკური ხარვეზების არსებობით და დეპარტამენტის ზოგიერთ თანამდებობათა დასახელებების ცვლილებით, რაც იწვევს დებულების შესაბამისი ნორმების შეცვლის საჭიროებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებაში შესატანი ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 7);

6. განსახილველად წარმოდგენილი იქნა საკითხი - უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურაში ცვლილების შეტანისა და მისგან გამომდინარე, პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულებაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცების შესახებ. როგორც საკითხის მომხსენებელმა, პერსონალის მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა - შორენა ერისთავმა აღნიშნა, 2018 წლის 26

მარტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის - პერსონალის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურაში შევიდა გარკვეული ცვლილება, კერძოდ, გაუქმდა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პოზიცია. რამდენიმე წლის მუშაობის გამოცდილებამ აჩვენა, რომ დეპარტამენტის უფროსის მოადგილის არარსებობის პირობებში, რთულდება შესასრულებელ სამუშაოთა კოორდინაცია, უფლებამოსილების დელეგირება. დეპარტამენტი ყოველდღიურად მოცულობით, ინტენსიურ და საპასუხისმგებლო სამუშაოს ასრულებს, რომელიც უახლოეს პერიოდში, უნივერსიტეტის მიმდინარე თუ სტრატეგიული გეგმებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მოცულობითი და ანალიტიკური ხასიათის გახდება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია პერსონალის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურაში შევიდეს ცვლილება და აღდგეს დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პოზიცია.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

შევიდეს ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურაში და გამომდინარე აქედან, დამტკიცდეს პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულებაში შესატანი ცვლილებები და დამატებები წარმოდგენილი სახით (დანართი 8);

7. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი. როგორც საკითხის მომხსენებელმა აღნიშნა, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილებაა (სხვა უფლებამოსილებებს შორის) დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის, შრომის ანაზღაურების (სახელფასო ფონდის) ოდენობისა და პირობების დამტკიცება. წარმომადგენლობითი საბჭოს 2007 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება ხორციელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში - საშტატო განრიგის მიხედვით დადგენილი თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად. შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები კი დგინდება შრომითი ხელშეკრულებით (ოქმი N11, 28.12.2007). წარმომადგენლობითი საბჭოს ხსენებული გადაწყვეტილების დაცვით, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს შრომის კოდექსის“, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტში დამტკიცებული რეგულაციების შესაბამისად და უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დამხმარე პერსონალი სამსახურში მიიღება კონკურსის წესით ან სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელის წარდგინებით. მომხსენებლის განმარტებით, წარმომადგენლობითი საბჭოს 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის თაობაზე, მიუხედავად მისი კანონმდებლობასთან შესაბამისობისა, საჭიროებს დაკონკრეტებას და პროცედურის დეტალურად განერას. შესაბამისად, შემუშავდა დოკუმენტი და წარმოდგენილია დასამტკიცებლად წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი წარმოდგენილი სახით. (დანართი 9)

8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა სალინაძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი. მომხსენებელმა წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს წევრებს დეტალური გააცნო აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია (წარმოდგენილი იქნა პრეზენტაცია). აღნიშნა, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანებისა და მიზნების განხორციელებიდან გამომდინარე: უნივერსიტეტის 2024 წლის პრიორიტეტული მიმართულებების, სასწავლო-სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების აუცილებელი ხარჯების, სტუდენტთა ხელშეწყობის, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, საინფორმაციო ტექნოლოგიური განახლების, ინფრასტრუქტურული პროექტების, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის, სახელმძღვანელოების შექმნისათვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. აღნიშნა, რომ 2024 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტი (როგორც გასული 3 წლის პროექტი) მომზადდა, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით. როგორც 2023 წლის ბიუჯეტი ასევე 2024 წლის ბიუჯეტის პროექტიც დეფიციტურია(თუ არ ჩავთვლით უძრავი ქონების პრივატიზაციის შემოსულ სახსრებს), თუმცა, მომხსენებლის თქმით, პროგნოზირებულია დეფიციტის კლება. პროექტი გაანგარიშებულია და განერილია, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. აღნიშნა, რომ მონაცემები ეყრდნობა: უნივერსიტეტის წინა წლების ბიუჯეტების შესრულების ანალიზს, საბიუჯეტო წლის მოსალოდნელი შემოსავლების შედეგების, საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნებას, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ფინანსურ დანახარჯებს და სხვა ძირითად კომპონენტებს. როგორც კანცლერის მოვალეობის შემსრულებელმა განმარტა, ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები შეთანხმებული და შეჯერებულია ფაქულტეტებთან და სხვა

სტრუქტურულ ერთეულებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე, პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ისაუბრა ასევე იმ სიახლეებზე, რაც 2024 წლის ბიუჯეტის პროექტშია ასახული: კერძოდ, დაგეგმილია გარკვეული აკადემიური პერსონალისათვის თებერვლის თვიდან, ხოლო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის მარტის თვიდან შრომის ანაზღაურება გაზრდა, რის შემდეგაც დეფიციტური ბიუჯეტის პირობებში 2024 წელსაც ბიუჯეტის დეფიციტი 2023 წელთან შედარებით არ გაიზრდება, მეტიც, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შენარჩუნდება დეფიციტის კლების ტენდენცია.

ასევე გრძელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების სამეცნიერო კვლევებისათვის ხელშეწყობა, იზრდება „სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა“-თვის გამოყოფილი ასიგნებები. გარდა ამისა ფაკულტეტების ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებში, სხვადასხვა კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობის, პრაქტიკების, ექსპედიციების დაფინანსების ხარჯები. გარდა ამისა, ბიუჯეტში გათვალისწინებულია განათლების ხარისხის განვითარების პროგრამა, რომელიც განათლების ხარისხის განვითარებასთან ერთად მოიცავს სახელმძღვანელოების შექმნის ხელშეწყობასაც. 2024 წელს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისათვის გათვალისწინებულია 1 000 000 ლარი, სადაც გათვალისწინებულია მეთერთმეტე კორპუსის ინტერნეტ ქსელის (WI-FI) განახლება. მომხსენებლის განმარტებით, მიმდინარე წელს ამოქმედდა სასწავლო პროცესების მართვის ახალი სისტემა (Uni.Tsu.ge), აღინიშნა, რომ პირველ ეტაპზე აღნიშნული სისტემით სარგებლობენ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები, ხოლო 2024 წლის გაზაფხულის სემესტრიდან ბაკალავრიატის საფეხურისთვის სტუდენტებსაც ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ ახალი სერვისით; 2024 წლისათვის ამუშავდება თსუ კვების ობიექტები, პირველ ეტაპზე მეთაე და მეთერთმეტე კორპუსებში, ხოლო შემდგომ ეტაპზე ეტაპობრივად სხვა კორპუსებშიც. თანხები გათვალისწინებულია შენობა ნაგებობების რეაბილიტაციისათვის, რაც მოიცავს ახალი სტუდენტური საცხოვრებლის (მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის შენობის ა ბლოკის გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოებს), ასევე უნივერსიტეტის მე-5 და მე-8 სასწავლო კორპუსების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, თსუ-ს მეთერთმეტე კორპუსის სახურავის რეაბილიტაციას, თსუ-ს სხვადასხვა კორპუსებში არსებული კარ-ფანჯრების რეაბილიტაციას, ახალი სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის პროექტირების სამუშაოებს, ეკონომიკის ინსტიტუტის და თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ახალი შენობის პროექტირების დასრულებას და მშენებლობის დაწყებას, მეექვსე და მეცხრე კორპუსების სახურავების საპროექტო სამუშაოებს, ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის ხიდის მშენებლობის სამუშაოებს, მეთაე კორპუსის კიბეების და გარკვეული სართულების რეაბილიტაციას, საგამოცდო ცენტრის და ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, კორპუსების ეზოების კეთილმოწყობას და სხვა. როგორც საკითხის მომხსენებელმა აღნიშნა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის 2024 წელს გათვალისწინებულია 866 000 ლარი.

აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს უნივერსიტეტმა დაიწყო ავტოპარკის განახლების პროცესი, შესყიდულ იქნა ახალი მიკროავტობუსი, ხოლო მომავალი წლისათვის დაგეგმილია ახალი ავტობუსის შესყიდვა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თსუ ავტოპარკის მდგომარეობას.

უნივერსიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია ხარჯების დაფინანსება 23 856 175 ლარის ფარგლებში. აღნიშნული თანხიდან სამეცნიერო კლევით ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკას მოხმარდება შესაბამისი თანხები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო სტიპენდია 2023-2024 სასწავლო წლიდან 150 ლარიდან 300 ლარამდე გაიზარდა და სტუდენტების რაოდენობაც თითქმის გაორმაგდა. უნივერსიტეტის კანცლერმა ასევე ისაუბრა სხვა რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილია ასევე 2023 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა.

მომხსენებლის განმარტებით, უნივერსიტეტმა დაიწყო მუშაობა სტუდენტებისა და პერსონალის შეფარდების ნორმატივის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რაც აქტიურად გავრძელდება 2024 წელს;

ასევე, როგორც უნივერსიტეტის კანცლერის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, 2024 წლიდან დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას გარკვეულ ზღვარს შემდგომ დასჭირდება რექტორთან არსებული საბჭოს თანხმობა, ხოლო მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) თანხმობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის კონტროლს. აღნიშნული საკითხი დარეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

პრეზენტაციის დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოებისათვის ბიუჯეტის დოკუმენტის გადაგზავნის შემდგომ, ზუსტ და საბუნებისმეცნიერებათა ფაკულტეტის მომართვის საფუძველზე, ბიუჯეტი მათ ნაწილში მცირედით დაკორექტირდა და შესაბამისად, ითხოვა დოკუმენტის დამტკიცება აღნიშნულის გათვალისწინებით.

კენჭისყრის პროცედურის დაწყებამდე, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა თსუ-ს რექტორმა - ჯაბა სამუშიამ და ისაუბრა რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის უნივერსიტეტის მთავარ საფინანსო დოკუმენტზე - 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე, ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის კონტროლის, ასევე პროგრამული ბიუჯეტის არსებობის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ თანხების მობილიზებისა და ხარჯების შემცირების ფონზე, უნივერსიტეტის ბიუჯეტი გაზრდილია და ის დეფიციტი, რაც წინა წელს ფიქსირდებოდა, შეიძლება დაძლეულად ჩაითვალოს. გამოთქვა სურვილი და მზადყოფნა, რომ ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ყოველწლიურად განხორციელდეს როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის ხელფასების ზრდა. აღნიშნა, რომ 2024 წლის 08 თებერვლიდან დაგეგმილია ხელფასების სიმბოლური ზრდა, თუმცა გამოყენებული იქნება ყველა შესაძლებლობა, რომ ხელფასების ზრდის ტენდენცია შენარჩუნდეს შემდგომ წლებშიც. რექტორმა ასევე ისაუბრა ფაკულტეტებზე გარკვეულ პრინციპზე დაფუძნებული სახელფასო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე.

რექტორმა ასევე ხაზი გაუსვა, ფინანსური შესაძლებლობის გათვალისწინებით, უნივერსიტეტში პროფესორთა რაოდენობის ზრდის აუცილებლობაზე, ვინაიდან მოწვეულ პედაგოგთა რაოდენობა ძალზედ დიდია. ეს ნაბიჯი იქნება მნიშვნელოვანი, როგორც უნივერსიტეტის იმიჯის ზრდისთვის, ასევე საერთაშორისო რეიტინგებში პოზიციების გასაუმჯობესებლად. თსუ რექტორმა ასევე ისაუბრა სახელმძღვანელოებზე და აქედან

გამომდინარე, შესაბამისი სტანდარტების შემუშავების აუცილებლობაზე, სასწავლო კურსების დახვეწაზე. აღინიშნა, რომ აკადემიური საბჭოს მიერ დაწყებულია მუშაობა ბაკალავრიატის საფეხურზე (ყველა ფაკულტეტს არ შეეხება), 3 წლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლასთან, ასევე დისტანციური სწავლების დანერგავსთან დაკავშირებით მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე. ხაზი გაუსვა, რომ წარმატებით მიმდინარეობს საუნივერსიტეტო კლინიკის შესყიდვასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები და სათანადო პროცედურები. უფრო მეტი დეტალის და ინფორმაციის მიწოდება სენატის წევრებისთვის - მომდევნო სხდომისთვის კი, მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენელს - გიორგი ლობჯანიძესა და თსუ-ს კანცლერს სთხოვა. თსუ-ს რექტორმა ასევე ისაუბრა უნივერსიტეტში განხორციელებულ და განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ასევე, ინიციატივით მიმართა სენატის წევრებს, მათი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქეთევან დედოფლის გამზ. #55-ში მდებარე მეშვიდე სასწავლო კორპუსთან დაკავშირებულ საკითხზე კომისიის შექმნასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ შენობა ავარიულია. ამდენად, ქონების შემდგომი განკარგვის მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით სასურველია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმსჯელებს და წარმოადგენს შესაბამის რეკომენდაციას უნივერსიტეტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

აღნიშნული ინიციატივა მოწონებული იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ზოგიერთმა წევრმა სხდომაზევე გამოთქვა კომისიის მუშაობაში ჩართვის მზაობა, თუმცა საბოლოოდ სენატის წევრები შეთანხმდნენ და ერთხმად გადაწყვიტეს, რომ კომისიის წევრთა კონკრეტული კანდიდატურების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს თსუ სენატის სამდივნოს ელ. ფოსტის მეშვეობით.

თსუ რექტორის გამოსვლის შემდეგ დისკუსია წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, ასევე სხდომაზე დამსწრე პირები, რის შემდეგაც წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საკითხი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტისა და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ დასვა კენჭისყრაზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი თანდართული სახით (დანართი 10);

9. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - “თსუ-ის ქალთა საზოგადოების (ცენტრი)” შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის №103/2023 დადგენილება.

საკითხის მომხსენებელმა ისაუბრა ცენტრის მიზნებზე, საქმიანობაზე, მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე, მიაოწდა ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ცენტრის დებულებასთან დაკავშირებით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის-“თსუ-ის ქალთა საზოგადოების (ცენტრი)” შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის №103/2023 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 11);

10. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ბავშვის უფლებების დაცვის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ თსუ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის #119/2023 დადგენილება.

საკითხის მომხსენებელმა ისაუბრა წარმოდგენილი დოკუმენტის ირგვლივ. განმარტა ცენტრის მიზნები, ამოცანები, ისაუბრა ცენტრის საქმიანობის შესახებ და სხვ.

მომხსენებელმა დეტალურად გასცა პასუხი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა შეკითხვებს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ბავშვის უფლებების დაცვის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ თსუ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის #119/2023 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 12);

11. თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ლაშა სალინაძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე განსახილველად და თანხმობის

მისაღებად წარმოადგინა უნივერსიტეტის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებულ შენობებში ყავის და სნეფის აპარატების განთავსების შესახებ.

აღინიშნა, რომ ადმინისტრაციას მომართა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ და იმის გათვალისწინებით, რომ გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა, ითხოვა აღნიშნული სკოლის (ქ. თბილისი, ზანდუკელის ქ. N16) შენობაში ყავის და სნეფების აპარატების განთავსება, რაოდენობით თითო ცალი. თსუ-ს ადმინისტრაციის მხრიდან ასევე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მსგავსი სახის აპარატების განთავსება ასევე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის სკოლაში (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N42-44; თსუ-ის ელექტრონული ანდრონიკაშილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში (ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N6) და ბაგების საერთო საცხოვრებელში, კერძოდ მე-2 კორპუსში (ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი).

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიყვანა თანხმობა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ქ. თბილისი, ზანდუკელის ქ. N16, ს/კოდი: 01.15.02.012.012), ტურიზმის სკოლის (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N42-44 ს/კოდი: 01.10.15.017.005.01.500) შენობებში, თსუ-ს ელექტრონული ანდრონიკაშილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში (ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N6, ს/კოდი: 01.14.03.042.137) და ბაგების საერთო საცხოვრებელში, კერძოდ მე-2 კორპუსში (ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, ს/კოდი: 01.14.06.007.074) ყავის და სნეფების აპარატების განთავსებაზე, დადგენილი წესით, რაოდენობით თითო ცალი, თითოეული 2 კვ.მ. ფართზე (დანართი 13);

12. თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ლაშა სალინაძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე განსახილველად და თანხმობის მისაღებად წარმოადგინა საკითხი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტზე რიცხული დაზგების, ხელსაწყო-დანადგარებისა და რკინის სეიფის გასხვისების შესახებ (17 ერთეული).

აღინიშნა, რომ თსუ-ის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტზე რიცხული მოძრავი ქონების - დაზგების, ხელსაწყო-დანადგარებისა და რკინის სეიფების გასხვისებას ითხოვს აღნიშნული ინსტიტუტის დირექცია. აღინიშნა, რომ წარმომადგენლობით საბჭოს მიერ დასაჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის ფოტომასალა. სენატის თანხმობის შემთხვევაში მათი გასხვისება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტზე რიცხული დაბგების, ხელსაწყო-დანადგარებისა და რკინის სეიფის გასხვისებაზე (17 ერთეული), კანონმდებლობით დადგენილი წესით (დანართი 14);

13. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილი იქნა საკითხი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის - პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შენობის (მის: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.N31ა, საკადასტრო კოდი: 01.14.05.006.117) მესამე სართულზე მდებარე 650 კვ.მ. ფართის სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრისათვის, უსასყიდლოდ, ცენტრის არსებობის ვადით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

როგორც საკითხის მომხსენებელმა აღნიშნა, იმის გათვალისწინებით, რომ თსუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის - პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შენობის (მის: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.N31ა, საკადასტრო კოდი: 01.14.05.006.117) მესამე სართულზე მდებარე 650 კვ.მ. ფართი, საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, აღნიშნული ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემა უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით, რომ სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს:

- გადასაცემი ფართის (650 კვ.მ) სარეაბილიტაციო სამუშაოებს.
- 01.14.05.006.117 საკადასტრო კოდით 03(3) შენობის გათბობის სისტემის პროექტირებას და მოწყობას.
- 01.14.05.006.117 საკადასტრო კოდით 01(1) და 02(4) შენობების გათბობის სისტემის პროექტირებას.

წარმომადგენლობითმა საბჭომ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულ პირობებთან ერთად, თანხმობა გაიცეს ასევე იმ პირობის გათვალისწინებით, რომ სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მოთხოვნის საფუძველზე, უნივერსიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე, ფართის გამოთავისუფლებას გონივრულ ვადებში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიყეს თანხმობა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის - პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შენობის (მის: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N31ა, საკადასტრო კოდი: 01.14.05.006.117) მესამე სართულზე მდებარე 650 კვ.მ. ფართის სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრისათვის, უსასყიდლოდ, ცენტრის არსებობის ვადით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე წარმოდგენილი პირობებით, ასევე იმ პირობით, რომ სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მოთხოვნის საფუძველზე, უნივერსიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე, ფართის გამოთავისუფლებას გონივრულ ვადებში. (დანართი 15);

14. თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ლაშა სალინაძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე განსახილველად და თანხმობის მისაღებად წარმოადგინა საკითხი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში ზანდუკელის ქ. N16-ში (საკადასტრო კოდი: 01.15.02.012.012, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ISET) მდებარე შენობის სახურავის ნაწილის -10 კვ.მ ფართის სს -სილქნეტისათვის, სატელეკომუნიკაციო სადგურის განთავსების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

აღინიშნა, რომ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის“ მიერ მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება, აღნიშნული ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე, 5 წლის ვადით, მხოლოდ იმ პირობით, რომ რომ სს-სილქნეტი უზრუნველყოფს და წარმოადგენს აკრედიტირებული, დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნას, იჯარის ფორმით გასაცემი ფართის მდგრადობაზე აღნიშნული ინფრასტრუქტურის- სატელეკომუნიკაციო სადგურის განთავსების მიზნით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიყეს თანხმობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში ზანდუკელის ქ. N16-ში (საკადასტრო კოდი: 01.15.02.012.012, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ISET) მდებარე შენობის სახურავის ნაწილის -10 კვ.მ ფართის სს -სილქნეტისათვის, სატელეკომუნიკაციო სადგურის განთავსების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე წარმოდგენილი პირობებით (დანართი 16);

15. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა სიტყვა გადასცა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს - ლერი თავაძეს. როგორც გამომსვლელმა აღნიშნა, მ.წ 28 ივლისის სენატის სხდომაზე, მან დასვა საკითხი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ზედნადები ხარჯების განაწილების წესის შეცვლის შესახებ. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში აღნიშნული ფონდის გრანტების ზედნადები ხარჯები თითქმის მთლიანად სახელფასო დანამატების სახით გაიყვანა, მაშინ როდესაც, მომხსენებლის აზრით, იგი შეიძლება მიემართოს სხვა მიმართულებით და უნივერსიტეტის სხვა საჭიროებებისათვის, მაგ. კომუნალური გადასახადები თუ სხვ. მომხსენებელმა, კიდევ ერთხელ დასვა საკითხი, პრობლემის შესწავლის მიზნით შეიქმნას თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) კომისია, რომელიც განიხილავს აღნიშნულ საკითხს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. ასევე, გამომსვლელმა შესაძლებლად მიიჩნია, კომისიის მუშაობა იყოს ღია შოთა რუსთაველის ფონდის გრანტის მიმღები თსუ-ს ნებისმიერი თანამშრომლისათვის, რომელიც დაინტერესებულია თავისი მიღებული გრანტიდან შემოსული თანხა სრულიად უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ დაიხარჯოს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია. დაისვა საკითხი, ზოგადად კომისიის შექმნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხის განხილვაზე სენატის უფლებამოსილების შესახებ.

საბოლოოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ საკითხი განხილული იქნეს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე, რათა კომისიის შექმნის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნას კომისიის მუშაობაში აკადემიური საბჭოს წევრთა ჩართულობაც.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 44

წინააღმდეგი: 1

მიღებული გადაწყვეტილება:

საკითხი განხილული იქნეს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე, კომისიის შექმნის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, კომისიის მუშაობაში აკადემიური საბჭოს წევრთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.



წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი



გიორგი ოქიტაშვილი

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2023 წლის 26 დეკემბრის #7 სხდომა)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ნაზირა კაკულია -

2. მიხეილ ჩიკვილაძე -

3. ნინო ფარესაშვილი -

4. ლელა ბახტაძე -



5. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1. დავით ნებიერიძე -


2. საბა გოგიბერიძე -

3. მარიამ შენგელია -



4. ილარიონ ფიფია -


5. ელენე გაჩეჩილაძე - ე. გაჩეჩილაძე

6. ლიკა წერეთელი- 


ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:


1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი- 

3. ნათელა არჩვაძე- ნ. არჩვაძე

4. ამირან ბიბილაშვილი- 

5. მარიამ ახალკაციშვილი- მ. ახალკაციშვილი

6. მაკა მურვანიძე- 

სტუდენტები:

1. ანა ბოკერია-

2. მარიამ ვარდოსანიძე-


3. ვასილ ბერიძე- 3 სკაძე

4. დავით შუბითიძე-


იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

1. მარინა გარიშვილი-



2. მაია ივანიძე-



3. გიორგი თუმანიშვილი-

სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე-

2. საბა ქვათაძე-

3. თამარ ჯინჭარაძე-

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-


3. ავთანდილ ტუკვაძე-

ა. ხუციშვილი

სტუდენტები:

1. ალექსანდრე გაბაშვილი-

2. კახა კუჭუხიძე-



3. ნინო პაქსაშვილი-


ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ გამსახურდია-

ვ. გამსახურდია

2. იზაბელა პეტრიაშვილი-



სტუდენტები:

1. ანი ფურცელაძე-

2. ბარბარე მამაგეიშვილი-

ბ. მამაგეიშვილი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:


1. ვლადიმერ მარგველაშვილი-

2. თინა ჭიტუაშვილი-

3. ზურაბ ჩხაიძე-

4. შალვა ფარულავა-

5. გიორგი პატარაია-



Handwritten signatures of three professors: Vladimir Margvelashvili, Tina Chitashvili, and Zurab Chkaidze.

სტუდენტები:

1. ასპრაფ მაკვი ელკვალია მოჰამედ-

2. ანა ფაშაევა-

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. ელისაბედ ბუალავა-

4. მანანა რუსიეშვილი-

5. თეა ქარჩავა-

თ.

6. ლერი თავაძე-

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

8. ინგა სანიკიძე-

სტუდენტები:

1. გიორგი არქანია-

2. საბა გიორგაძე-

3. ნათია კორაშვილი-

4. საბა ლოლაძე-

5. ლუკა მამალაშვილი-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე- *თ. მაჩაიძე*

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე- *თ. ჩალაძე*

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის
ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდუას გეოფიზიკის ინსტიტუტი


მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარინა გურგენიშვილი-

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის
ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-




პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-


არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-




მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-



ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე-



ანდრია რაჭმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია-

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს

წევრთა სია (2023 წლის 26 დეკემბერი, #7 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. აბაშიძე ზურაბ
3. ავაზაშვილი ნიკოლოზ
4. ამირანაშვილი ავთანდილ
5. ანანიაშვილი ნათელა
6. ბახტაძე მიხეილ
7. გავაშელი ცისანა
8. გონაშვილი ვასილ
9. ზაუტაშვილი მარინე
10. კოპალეიშვილი მაია
11. კუხიანიძე ალექსანდრე
12. ლობჯანიძე გია
13. ლომიძე გაგა
14. მალრაძე ვახტანგ
15. მინდაძე ნინო

16. სადრაძე ნინო

17. სილაგაძე ავთანდილ

18. ფერაძე გოჩა

19. ფურთუხია ომარ

20. ქიტიაშვილი ზაქარია

21. ქურდაძე რამაზ

22. ღონღაძე ალექსანდრე

23. ყარალაშვილი თამაზ

24. შავლაყაძე ნუგზარ

25. შალიკაშვილი მორის

26. შანიძე რევაზი

27. შარაშიძე ნინო

28. შენგელია თემური

29. ჩიტაშვილი მარინე

30. ცისკარიძე ალექსანდრე

31. წერეთელი მარი

32. ხარაიშვილი ეთერ

33. ხაჩიძე მანანა

34. ხუსკივაძე მამუკა

35. ხუციშვილი ქეთევან

Handwritten signatures and scribbles corresponding to the list items, including names like 'ს. სილაგაძე', 'გ. ფერაძე', 'ო. ფურთუხია', 'ზ. ქიტიაშვილი', 'რ. ქურდაძე', 'ა. ღონღაძე', 'თ. ყარალაშვილი', 'ნ. შავლაყაძე', 'მ. შალიკაშვილი', 'რ. შანიძე', 'ნ. შარაშიძე', 'თ. შენგელია', 'მ. ჩიტაშვილი', 'ა. ცისკარიძე', 'მ. წერეთელი', 'ე. ხარაიშვილი', 'მ. ხაჩიძე', 'მ. ხუსკივაძე', and 'ქ. ხუციშვილი'.



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 114/2023

12 დეკემბერი 2023 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და 57-ე მუხლის, „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელთა თანახმადაც აკადემიური საბჭო არის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შერჩევაზე და წარმომადგენლობითი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენაზე უფლებამოსილი ორგანო, „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 13 ნოემბრის №108/2023 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის №113/2023 დადგენილებისა და თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის № 17 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:


1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევამდე, 2023 წლის 26 დეკემბრიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვროს **ლაშა საღინაძე**.
2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია

რექტორი, პროფესორი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე





N 39439/10
25.12.2023

39439-10-3-202312251505



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელთა თანახმადაც აკადემიური საბჭო არის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შერჩევაზე და წარმომადგენლობითი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენაზე უფლებამოსილი ორგანო, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის №114/2023 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით (ოქმი №5) დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში“ - ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

1. შევიდეს ცვლილებები და დამატება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით (ოქმი №5) დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში“:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აპარატი უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ გამართულობას“.

ბ) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. აპარატის მუშაობის წესი

1. აპარატი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც სხდომის ჩატარებამდე 2 სამუშაო დღით ადრე გადასცემს სადისერტაციო საბჭოს წევრებს.

2. აპარატი კონტროლს უწევს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ დისერტაციის შეფასებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ფაკულტეტების მიერ სადისერტაციო საბჭოში სადისერტაციო ნაშრომისა და დაცვის დოკუმენტაციის გადაცემის, ასევე, შესაბამის ელექტრონულ სივრცეში PDF ფაილების სახით განთავსების ვალდებულების შესრულებას.

3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვის შემდეგ აპარატი ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციას 10 სამუშაო დღის ვადაში უბრუნებს შესაბამის ფაკულტეტს“.

გ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აპარატის სამდივნო შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების წარმომადგენლებისგან, რომელთაც აპარატის უფროსს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანი“.

დ) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. აპარატის უფროსის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა) შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს აპარატის სამდივნოს წევრი, აპარატის უფროსისა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შეთანხმების საფუძველზე.“

6. აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის თაობაზე აპარატის უფროსის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება“.

ე) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. აპარატის ხელმძღვანელობა

1. აპარატის უფროსი:

- ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს აპარატის საქმიანობას;
- ბ) განსაზღვრავს აპარატის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;
- გ) აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს სადისერტაციო საბჭოს დავალებებს;
- დ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით აპარატისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით წარუდგენს წინადადებებს სადისერტაციო საბჭოს ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
- ე) კონსულტაციას უწევს აპარატის სამდივნოს წევრებს;
- ვ) ხელს აწერს მის მიერ მომზადებულ დოკუმენტებს;
- ზ) წარადგენს ანგარიშს აპარატის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს სადისერტაციო საბჭოს დავალებით;
- თ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. აპარატის სამდივნო:

- ა) აპარატის უფროსს გადასცემს თითოეული დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციას და ასევე განათავსებს შესაბამის ელექტრონულ სივრცეში PDF ფაილების სახით დისერტაციის შეფასებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
- ბ) საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვის შემდეგ აპარატის უფროსისგან 10 სამუშაო დღის ვადაში იბარებს თითოეული დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციას“.



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 19960/10

19.07.2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარეს,
ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით (ოქმი N 5) დამტკიცებულ N 17 დანართში - „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულება“ - ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც შეიმუშავა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭომ.

გთხოვთ, პროექტი დასამტკიცებლად წარუდგინოთ წარმომადგენლობით საბჭოს.

ლაშა სალინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შევიდეს შემდეგი დამატებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 23 დეკემბრის N9 ოქმით დამტკიცებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მენცირებათა ფაკულტეტის დებულებაში:

1. დებულების 36-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე „უ“ ქვეპუნქტი:

„უ) ევგენი ხარაძის სახელობის ობსერვატორია“.

2. დებულების 36-ე მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე „რ“ ქვეპუნქტი:

„რ) ვივარიუმი.“

„3. დებულების 36-ე მუხლის მე-8 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე „გ“ - „ი“ ქვეპუნქტები:

„ გ) ელექტრონიკის ლაბორატორია;

დ) საბაკალავრო/სამაგისტრო პროექტების ლაბორატორია;


ე) კომუნიკაციების ლაბორატორია;

ვ) წრედების ლაბორატორია;

ზ) ციფრული სისტემების ლაბორატორია;

თ) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის კომპიუტერული კლასი;

ი) ანტენების და მიკროტალღების ლაბორატორია.“.



Handwritten signature in blue ink, likely of the official responsible for the document.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ვლადიმერ
მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

გაცნობებთ, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ მიიღო დადგენილება ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. გთხოვთ გაიტანოთ ეს ცვლილებები უახლოესი წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

36-ე მუხლის მე-3 პუნქტს უნდა დაემატოს ქვეპუნქტი:

უ) ევგენი ხარაძის სახელობის ობსერვატორია;

36-ე მუხლის მე-5 პუნქტს უნდა დაემატოს ქვეპუნქტი:

რ) ვივარიუმი;

36-ე მუხლის მე-8 პუნქტს უნდა დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტები:

გ) ელექტრონიკის ლაბორატორია;

დ) საბაკალავრო/სამაგისტრო პროექტების ლაბორატორია;

ე) კომუნიკაციების ლაბორატორია;

ვ) წრედების ლაბორატორია;

ზ) ციფრული სისტემების ლაბორატორია;


თ) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის კომპიუტერული კლასი;

ი) ანტენების და მიკროტალღების ლაბორატორია.

ცვლილებები შეთანხმებულია იურიდიულ, საფინანსო და პერსონალის მართვის დეპარტამენტებთან (დავიზებული ვარიანტი თანდართულია). წერილს ასევე თან ერთვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი.

პატივისცემით,

რამაზ ხომერიკი



ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
ადმინისტრაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 29 ნოემბრის სხდომის

ოქმი #9

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 29 ნოემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მორიგი სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 28 წევრი, სხდომას ესწრებოდა 21 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდა გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ცისმარი გავაშელი.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;
2. პროგრამული ცვლილებების შესახებ;
3. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების შესახებ;
4. მიმდინარე საკითხები.

განსახილველი საკითხების შესაბამისი მასალები წინასწარ დაეგზავნა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის შესახებ. 2024 წლის ანკეტა-კითხვარი წარმოადგინა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. ბატონმა რამაზმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს სთხოვა დაეზუსტებინათ 2024 წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის კვოტები პროგრამების მიხედვით და კომპეტენციის ზღვრები ჩასაბარებელ საგნებში (იხ. დანართი 1). ამის შემდეგ სათითაოდ მოხდა ცალკეული საბაკალავრო პროგრამის განხილვა და კვოტების დაზუსტება.

აზრი გამოთქვას: განხილვაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს თითქმის ყველა წევრმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბაკალავრიატის 2024 წლის ანკეტა-კითხვარის წარმოდგენილი სახით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2024 წლის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - პროგრამული ცვლილებების შესახებ. ცვლილებები წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. ცვლილებები შეეხო საბაკალავრო პროგრამებს - „ქიმია“ (ინგლისურენოვანი) და „მათემატიკა“, ასევე სამაგისტრო პროგრამას - „მათემატიკა“. ცვლილების საფუძველია პროგრამის განვითარება და დამსაქმებლის მოთხოვნის გათვალისწინება (იხ. დანართი 2).

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ნ.შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი პროგრამული ცვლილებების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები საბაკალავრო პროგრამებში - „ქიმია“ (ინგლისურენოვანი) და „მათემატიკა“, ასევე სამაგისტრო პროგრამაში - „მათემატიკა“. (იხ. დანართი 2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. ბატონმა რამაზმა აღნიშნა, რომ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში თსუ-ს გადმოეცა რამდენიმე კარგად აღჭურვილი საინჟინრო ლაბორატორია, რომლებიც მიზანშეწონილია თუ ცალკე სტრუქტურულ ერთეულებად იქნება წარმოდგენილი ფაკულტეტის სტრუქტურაში. ასევე მან წამოაყენა წინადადება ცალკე სტრუქტურულ ერთეულად გაფორმდეს თსუ მეორე კორპუსში განთავსებული ევგენი ხარაძის სახელობის ობსერვატორია. საბჭოს წევრებმა ასევე დასვეს საკითხი თსუ მე-11 კორპუსში განთავსებული ვივარიუმის დამატებაზეც სტრუქტურული ერთეულების სიაში.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ც.გავაშვილმა, ა.გამყრელიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების დამატების შესახებ ფაკულტეტის სტრუქტურაში.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო ადგენს, რომ შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში და დაემატოს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი:
 1. ელექტრონიკის ლაბორატორია (Electronics Laboratory);
 2. საბაკალავრო/სამაგისტრო პროექტების ლაბორატორია (Senior Design (Bachelor/Master Projects) Laboratory);

3. კომუნიკაციების ლაბორატორია (Digital Communications Laboratory);
4. წრედების ლაბორატორია (Circuits Laboratory);
5. ციფრული სისტემების ლაბორატორია (Digital Systems Laboratory);
6. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის კომპიუტერული კლასი (Electrical and Electronics Engineering Computer Classroom);
7. ანტენების და მიკროტალღების ლაბორატორია (Antennas and Microwaves Laboratory);

- ფიზიკის დეპარტამენტი:
 1. ევგენი ხარაძის სახელობის ობსერვატორია (Evgeni Kharadze Observatory);
- ბიოლოგიის დეპარტამენტი:
 1. ვივარიუმი (Vivarium).

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მიმდინარე საკითხებში განხილული იყო ორი საკითხი.

ა) იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიის ანაზღაურების შესახებ. საკითხის შესახებ ინფორმაცია ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მიაწოდა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ. ხომერიკმა. ბატონმა რამაზმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სტატია ანაზღაურდება ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მუხლიდან “შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“, სადაც გამოყოფილია დაფინანსება ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების გასაცემად (იხ. დანართი 3).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიისთვის დაფინანსების გაცემის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: წარმოდგენილი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატია დაფინანსდეს 2500 ლარით (იხ. დანართი 3) ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან.

ბ) სადოქტორო პროგრამა „გეოგრაფიის“ დოქტორანტების სადისერტაციო თემების დაზუსტების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს ინფორმაცია გააცნო ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბ-მა რამაზ ხომერიკმა.

შემდეგ ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სადოქტორო პროგრამა „გეოგრაფიის“ დოქტორანტების სადისერტაციო თემების დაზუსტების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს:

1. დოქტორანტ ზაზა გულაშვილის სადისერტაციო თემის ძველი სახელწოდება „ქარბტენიანი ტერიტორიების წყლის რესურსების მართვა და განვითარების

პერსპექტივები” შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „კოლხეთის დაბლობის ჭარბტებიანი ტერიტორიების წყლის რესურსების შეფასება და მართვა”. ხელმძღვანელები პროფ. დავით კერესელიძე, ასოც. პროფ. ვაჟა ტრაპაიძე დარჩეს უცვლელი;

2. დოქტორანტ ზურაბ ჯიქიას სადისერტაციო თემის ძველი სახელწოდება „საქალაქო დასახლებების სანიაღვრე წყლების წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასება” შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „ურბანული ჩამონადენის წყლის ხარისხის შეფასება და პროგნოზი”, ხელმძღვანელი პროფ. დავით კერესელიძე დარჩეს უცვლელი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი



პროექტი

დანართი 1

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის
უსაფრთხოების სამსახურის დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“ ან „თსუ“) შრომის უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში - „სამსახური“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის საქმიანობის სფერო, ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტის სივრცეში მყოფი პირების (უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, სტაჟიორების, ვიზიტორების, სტუმრების და სხვა პირების) შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ასევე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
- ბ) უნივერსიტეტის რეგულაციებით დადგენილი შრომის უსაფრთხოების სფეროს ქცევის წესების მონიტორინგი, მათ შორის უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში დროული და ეფექტური რეაგირება;
- გ) უნივერსიტეტში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების, გამართული მუშაობის/ფუნქციონირების მონიტორინგი;
- დ) შრომის უსაფრთხოების სისტემის შემუშავება, უნივერსიტეტში დანერგვა და შესრულების კონტროლი; შრომის უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუდმივი ინფორმირებულობა, თსუ- ში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კულტურის დანერგვასთან დაკავშირებით წინადადებების ინიცირება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის /ან მისი ბრძანებით დანიშნული პასუხისმგებელი პირისთვის წარდგენა;
- ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის მონიტორინგი, საშიშროებების

განსაზღვრა, შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასება, პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა, ხელმძღვანელობისათვის რისკის შეფასების ფორმა N1-ის სახით მათი წარდგენა და პრევენციისათვის განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულების მონიტორინგი. თსუ-ს საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა (მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის და ტექნიკური საშუალებების განახლების, ინსტრუქტაჟის ჩატარების თაობაზე ან/და სხვა);

ვ) საუნივერსიტეტო (სამუშაო) სივრცეში მყოფი პირებისათვის (პერსონალი, სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, მსმენელები და სხვა) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება კერძოდ: შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ, სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ, საგანგებო სიტუაციების, სავაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ, არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;

ზ) შრომის უსაფრთხოების საკითხებზე საუნივერსიტეტო (სამუშაო) სივრცეში მყოფი პირებისათვის (პერსონალი, სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, მსმენელები და სხვა) სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, კონსულტაციის გაწევა, სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება, ასევე მათ მიერ მიღებული ცოდნის შემოწმება და ამ მიზნით ტესტირების, სიმულაციების და სხვა სახის შემოწმებების წარმოება, აუცილებლობის შემთხვევაში გარე ტრენინგების საჭიროების ინიცირება;

თ) სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) რეგულარულად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით და კომპეტენციის ფარგლებში შემდეგი აქტივობების განხორციელება: უნივერსიტეტში არსებული შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმების და მისი დოკუმენტირების მონიტორინგი, დადგენილი წესის შესაბამისად ინდივიდუალური დაცვის და სხვა დამცავი საშუალებების სწორად გამოყენების და მოვლა-გასუფთავების კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვლის ინიცირება, უნივერსიტეტში ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით, შემოწმების, გაზომვისა და შეფასების განხორციელების ინიცირება და ხელშეწყობა;

2. სამსახურის ძირითადი ამოცანებია, საუნივერსიტეტო სივრცეში მყოფი პირების შრომის უსაფრთხოების უსაფრთხოებისა და აგრეთვე უნივერსიტეტში, სახანძრო უზრუნველყოფა და უსაფრთხო საქმიანობის პირობების შექმნის ხელშეწყობა.

3. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებულ აქტივობებს (მათ შორის პანდემიის, ფორსმაჟორული, საგანგებო ვითარების დროს) სამსახური ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების, ეთიკის კოდექსის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული „სახანძრო

უსაფრთხოების ინსტრუქციის“, წინამდებარე დებულების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული სამსახურის პერსონალის სამუშაო (ფუნქციათა) აღწერილობის ან/და სხვა აქტების მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და პერსონალი

1. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.
2. სამსახურის უფროსს, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
3. სამსახურის თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მოქმედი რეგულაციების საფუძველზე.
4. სამსახურის პერსონალის დასაქმება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
5. სამსახურის უფროსის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე სამსახურის უფროსის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის ერთ-ერთ თანამშრომელი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.
6. სამსახურის უფროსი:
 - ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
 - ბ) წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
 - გ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
 - დ) ზედამხედველობს სამსახურის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
 - ე) ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;
 - ვ) წარადგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
 - ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს/ან მისი ბრძანებით დანიშნულ პასუხისმგებელი პირის წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
 - თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს/ან მისი ბრძანებით დანიშნულ პასუხისმგებელი პირის წინადადებებს სამსახურის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, სამსახურის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
 - ი) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც

აუცილებელია სამსახურის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
კ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სამსახურის სახელით გასცემს დასკვნებს;
ლ) პერიოდულად ისმენს სამსახურის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
მ) შუამდგომლობს სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე, ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
7. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით სამსახურისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი, სამსახურის მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), სამსახურის უფროსი სპეციალისტი. სამსახურის ფუნქციონირების სპეციფიკის გათვალისწინებითა და საჭიროებიდან გამომდინარე, განსაზღვრული ვადით შესაძლებელია სპეციალისტის/უფროსი სპეციალისტის/მთავარი სპეციალისტის (I და II კატეგორია), მოწვევა.

მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამსახურის უფროსი
[Handwritten signature]

[Handwritten signature]

სამსახურის მთავარი სპეციალისტი
[Handwritten signature]



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 39165/10

22.12.2023

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულებას.

ვინაიდან ხორციელდება ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა აუცილებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა, შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში შეიტანოთ შესაბამისი ცვლილება.

წარმოდგენილი საკითხი იწვევს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ზრდას, ყოველწლიურად 36 000 ლარით.

დანართი: 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა სალინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის N2 სხდომის ოქმით დამტკიცებული) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულების ცვლილებები:

1. დებულების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„8. შიდა ინსპექტირების, პირად შემადგენლობასთან მუშაობის და ღონისძიებების უსაფრთხოების ჯგუფი დაკომპლექტებულია მთავარი (II კატეგორია), წამყვანი და უფროსი სპეციალისტებით. შიდა ინსპექტირების, პირად შემადგენლობასთან მუშაობის და ღონისძიებების უსაფრთხოების ჯგუფის თანამშრომლებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი“.

2. დებულების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„9. შიდა ინსპექტირების, პირად შემადგენლობასთან მუშაობის და ღონისძიებების უსაფრთხოების ჯგუფის მთავარ (III კატეგორიის) სპეციალისტთა ფუნქციას შეადგენს:

ა) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან შეთანხმებული სქემის შესაბამისად დღე-ღამის განმავლობაში ობიექტების შემოვლა-შემოწმებაზე კონტროლის განხორციელება;

ბ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ან მისი მოადგილის მითითებით პირად შემადგენლობისათვის შესაბამისი სწავლებების ჩატარება დაკისრებული ფუნქციების უკეთ შესრულების მიზნით;

გ) უნივერსიტეტის ობიექტების დაცვის გეგმების და ინსპექტორის სამოქმედო ინსტრუქციების პროექტების შედგენის უზრუნველყოფა და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსისათვის წარდგენა;

დ) დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების ან სანიმუშო ქცევისთვის წახალისების მიზნით დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსისთვის შესაბამისი კანდიდატების წარდგენა, რომელთაც დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი თავის მხრივ წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

ე) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სხვა მითითებების შესრულება“.

3. დებულების მე - 4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 9¹ პუნქტი:

„9¹ შიდა ინსპექტირების, პირად შემადგენლობასთან მუშაობის და ღონისძიებების უსაფრთხოების ჯგუფის წამყვანი სპეციალისტთა ფუნქციას შეადგენს:

ა) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან შეთანხმებული სქემის შესაბამისად დღე-ღამის განმავლობაში ობიექტების შემოვლა-შემოწმებაზე კონტროლის განხორციელება;

ბ) უნივერსიტეტის ობიექტების დაცვის გეგმების და ინსპექტორის სამოქმედო ინსტრუქციების პროექტების შედგენის უზრუნველყოფა და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსისათვის წარდგენა;

გ) დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების ან სანიმუშო ქცევისთვის წახალისების მიზნით დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსისთვის შესაბამისი კანდიდატების წარდგენა, რომელთაც დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი თავის მხრივ წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

დ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სხვა მითითებების შესრულება“.

4. დებულების მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ე) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სახანძრო უსაფრთხოების გეგმების შემუშავებაზე კონტროლი“.

5. დებულების მე - 4 მუხლის მე-18 პუნქტის ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ 18. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი“.



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმოკვანელი

N 39270/10

22.12.2023

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის #135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

ცვლილებები განპირობებულია დებულების მოქმედ ვერსიაში ტექნიკური ხარვეზების არსებობით და დეპარტამენტის ზოგიერთ თანამდებობათა დასახელებების ცვლილებით, რაც იწვევს დებულების შესაბამისი ნორმების შეცვლის საჭიროებას.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა სალინაძე



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულების (დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 04 აპრილის N3 ოქმით, ცვლილებები შეტანილია წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის N5, 2018 წლის 12 თებერვლის N1, 2018 წლის 26 მარტის N3, 2020 წლის 25 დეკემბრის N4 ოქმებით) ცვლილებები

ა) მე-3 მუხლის 1-ლი პუნტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი. დეპარტამენტის სამტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი. კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით, განსაზღვრული ვადით, დეპარტამენტში შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი/ კონსულტანტი.“

ბ) მე-3 მუხლის მე-2 პუნტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეპარტამენტის უფროსს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებიზაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.“

გ) მე-3 მუხლს დაემატოს მე-4 პუნტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;

ბ) მონაწილეობს დეპარტამენტში შემოსული კორესპონდენციის განაწილებაში;

გ) მონაწილეობს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაში;

დ) კოორდინაციას უწევს დამხმარე პერსონალის შეფასების სამუშაოებს;

ე) მონაწილეობს დეპარტამენტის წლიური და სტრატეგიული გეგმების შემუშავებაში;

ვ) გამოითხოვს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებიდან დეპარტამენტის მუშაობისათვის საჭირო ინფორმაციას;

ზ) დეპარტამენტის უფროსის დროებით არყოფნის, ასევე დეპარტამენტის უფროსის დავალებით ახორციელებს დეპარტამენტში მომზადებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

თ) დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დეპარტამენტის უფროსის უშუალო დავალებებს.“


სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის 26 მარტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის - პერსონალის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურაში შევიდა გარკვეული ცვლილება, კერძოდ, გაუქმდა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პოზიცია. რამდენიმე წლის მუშაობის გამოცდილებამ აჩვენა, რომ დეპარტამენტის უფროსის მოადგილის არარსებობის პირობებში, რთულდება შესასრულებელ სამუშაოთა კოორდინაცია, უფლებამოსილების დელეგირება. დეპარტამენტი ყოველდღიურად მოცულობით, ინტენსიურ და საპასუხისმგებლო სამუშაოს ასრულებს, რომელიც უახლოეს პერიოდში, უნივერსიტეტის მიმდინარე თუ სტრატეგიული გეგმებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მოცულობითი და ანალიტიკური ხასიათის გახდება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება პერსონალის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურაში შევიდეს ცვლილება და აღდგეს დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პოზიცია (დანართი 1).

გთხოვთ საკითხის განხილვასა და დამტკიცებას წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

პატივისცემით,

ლაშა სალინაძე



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 25819/10

12.09.2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

როგორც მოგეხსენებათ, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილებაა (სხვა უფლებამოსილებებს შორის) დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის, შრომის ანაზღაურების (სახელფასო ფონდის) ოდენობისა და პირობების დამტკიცება (უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი). წარმომადგენლობითი საბჭოს 2007 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება ხორციელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში - საშტატო განრიგის მიხედვით დადგენილი თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად. შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები კი დგინდება შრომითი ხელშეკრულებით (ოქმი N11, 28.12.2007). წარმომადგენლობითი საბჭოს ხსენებული გადაწყვეტილების დაცვით, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს შრომის კოდექსის“, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტში დამტკიცებული რეგულაციების შესაბამისად და უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დამხმარე პერსონალი სამსახურში მიიღება კონკურსის წესით ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით. ვთვლით, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის თაობაზე, მიუხედავად მისი კანონმდებლობასთან შესაბამისობისა, საჭიროებს დაკონკრეტებას და პროცედურის დეტალურად გაწერას.

დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს (დანართი N1).

პატივისცემით,

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი, შრომის
ანაზღაურების ოდენობა და პირობები**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი (შემდგომში - „წესი“) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს შრომის კოდექსის“, მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი შიდასამართლებივი აქტების შესაბამისად.
2. წინამდებარე წესის დებულებები ვრცელდება უნივერსიტეტის ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულის დამხმარე პერსონალზე.
3. უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო განრიგით გათვალისწინებული, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული შტატგარეშე, უნივერსიტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი პერსონალი.

მუხლი 2. წესის მიზანი

1. წესის მიზანია უზრუნველყოს უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება წინამდებარე წესის, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვითა და უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით.
2. წესის დანიშნულებაა, მასში გათვალისწინებული პროცედურების დაცვით უზრუნველყოს უნივერსიტეტის მოთხოვნებისა და კონკურსში/გასაუბრებაში მონაწილეთა მონაცემების ობიექტური შეფასება და შესაფერისი კანდიდატის შერჩევა.

მუხლი 3. დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება

დამხმარე პერსონალი სამსახურში მიიღება:

- ა) კონკურსის წესით;
- ბ) შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის წესით;
- გ) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით.

მუხლი 4. დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება კონკურსის წესით

1. კონკურსის წესით, როგორც სამტატო, ასევე შტატგარეშე პოზიციაზე დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - საკუთარი ინიციატივით ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წერილობითი წარდგინების საფუძველზე.
2. როგორც სამტატო, ასევე შტატგარეშე პოზიციაზე, დამხმარე პერსონალის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადებამდე უნდა განისაზღვროს და დასაბუთდეს დამატებითი ადამიანური რესურსის საჭიროება.
3. სამტატო განრიგით განსაზღვრულ დამხმარე პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ზეპირი ან წერილობითი დავალების, ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დასაბუთებული წერილისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობის შემდეგ, კონკურსის გამოცხადებას და პროცესის წარმართვას უზრუნველყოფს პერსონალის მართვის დეპარტამენტი.
4. სამტატო პოზიციაზე კონკურსის გამოცხადებისას პერსონალის მართვის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სამუშაოს აღწერილობით, სადაც გაწერილია საკონკურსო პოზიციისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები: ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები (განათლება, სამუშაო გამოცდილება, უნარ-ჩვევები), პიროვნული და საქმიანი თვისებები, პოზიციისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა და სხვა.
5. შტატგარეშე პოზიციაზე კონკურსის გამოცხადებისას მკაფიოდ უნდა განისაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა/სპეციფიკა და კონკრეტული პოზიციის საჭიროების ხანგრძლივობა. პერსონალის მართვის დეპარტამენტი კონკურსის ინიციატორ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ერთად განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ათანხმებს საკონკურსო პოზიციაზე დასასაქმებელი პირისადმი წაყენებულ ფუნქცია-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და კომპეტენციებს (განათლება, სამუშაო გამოცდილება, უნარ-ჩვევები), პოზიციისათვის დამახასიათებელ სპეციფიურ ცოდნას.
6. სამტატო განრიგით განსაზღვრულ დამხმარე თანამდებობაზე შერჩეული პირის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სამტატო განრიგით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.
7. შტატგარეშე პოზიციაზე მიღებული დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.
8. დამხმარე პერსონალის სამსახურში მისაღებად კონკურსი ცხადდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით. კონკურსი არის ღია და საჯარო. ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების თაობაზე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tsu.ge) და ინტერნეტ სივრცეში - დასაქმების მიზნებისათვის არსებული ვერბგვერდ(ებ)ის საშუალებით.
9. საკონკურსო განცხადებაში გაწერილია პოზიციის დასახელება (სამტატო/ შტატგარეშე დაკონკრეტებით), შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები,

შრომის ანაზღაურების ოდენობა, აპლიკანტისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პიროვნული და საქმიანი თვისებები, კომისიისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, დოკუმენტების წარდგენის ვადები და სხვა.

10. აპლიკანტი ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში საკონკურსო დოკუმენტებს გზავნის ელექტრონულად მისამართზე vacancy@tsu.ge და სათაურის ველში უთითებს კონკრეტული პოზიციის/ვაკანსიის დასახელებას.
11. კონკურსის წესით დამხმარე პოზიციაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით იქმნება კომისია. კომისიის მუშაობის შედეგები ფორმდება შესაბამისი ოქმით/ოქმებით.
12. კომისიას მუშაობის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შეუძლია შესაბამისი დარგის ექსპერტის/ექსპერტების მოწვევა.
13. კომისია პირველ ეტაპზე აფასებს აპლიკანტის მონაცემთა შესაბამისობას კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
14. მეორე ეტაპზე, აპლიკანტი/აპლიკანტები, ვისი დოკუმენტაციაც აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე საკონკურსო კომისიასთან გადის გასაუბრებას. პოზიციის სპეციფიკიდან გამომდინარე, აპლიკანტს/აპლიკანტებს შესაძლებელია მიეცეს წერიტი დავალება, რის თაობაზეც მითითებული უნდა იყოს სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივ აქტში.
15. აპლიკანტის გამოუცხადებლობა ან უარის თქმა გასაუბრებაზე, წარმოადგენს მისი კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
16. საკონკურსო პოზიციაზე შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და შერჩეულად ითვლება ის აპლიკანტი, ვინც მიიღებს მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
17. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია შეაჯერებს კონკურსის შედეგებს და შერჩეულ კანდიდატს/კანდიდატებს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დასაქმების მიზნით.
18. კომისიის გადაწყვეტილება ეფუძნება წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის მონაცემებსა და გასაუბრების შედეგებს.
19. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოსცეს სამართლებრივი აქტი, რის საფუძველზეც შერჩეულ კანდიდატთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.
20. კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის წესით

1. შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის წესით, როგორც საშტატო, ასევე შტატგარეშე პოზიციაზე დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - საკუთარი ინიციატივით ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წერილობითი წარდგინების საფუძველზე.
2. დამხმარე პერსონალის სამსახურში მისაღებად შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის გამოცხადებამდე უნდა განისაზღვროს და დასაბუთდეს დამატებითი ადამიანური რესურსის საჭიროება.

3. შიდასაუნივერსიტეტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია თსუ-ში დასაქმებულ პერსონალს.
4. საშტატო განრიგით განსაზღვრულ დამხმარე პოზიციაზე შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის გამოცხადების თაობაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ზეპირი ან წერილობითი დავალების, ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დასაბუთებული წერილისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობის შემდეგ, კონკურსის გამოცხადებას და პროცესის წარმართვას უზრუნველყოფს პერსონალის მართვის დეპარტამენტი.
5. საშტატო პოზიციაზე შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის გამოცხადებისას პერსონალის მართვის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სამუშაოს აღწერილობით, სადაც გაწერილია საკონკურსო პოზიციისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები: ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები (განათლება, სამუშაო გამოცდილება, უნარ-ჩვევები), პროფესიული და საქმიანი თვისებები, პოზიციისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა და სხვა.
6. შტატგარეშე პოზიციაზე შიდა საუნივერსიტეტო კონკურსის გამოცხადებისას მკაფიოდ უნდა განისაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა/სპეციფიკა და კონკრეტული პოზიციის საჭიროების ხანგრძლივობა. პერსონალის მართვის დეპარტამენტი კონკურსის ინიციატორ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ერთად განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ათანხმებს საკონკურსო პოზიციაზე დასასაქმებელი პირისადმი წაყენებულ ფუნქცია-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და კომპეტენციებს (განათლება, სამუშაო გამოცდილება, უნარ-ჩვევები), პოზიციისათვის დამახასიათებელ სპეციფიურ ცოდნას.
7. საშტატო განრიგით განსაზღვრულ დამხმარე თანამდებობაზე შიდა საუნივერსიტეტო კონკურსის საფუძველზე შერჩეული პირის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება საშტატო განრიგით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.
8. შტატგარეშე პოზიციაზე შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის საფუძველზე შერჩეული დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.
9. დამხმარე პერსონალის სამსახურში მისაღებად შიდასაუნივერსიტეტო კონკურსი ცხადდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით. ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების თაობაზე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tsu.ge).
10. საკონკურსო განცხადებაში გაწერილია პოზიციის დასახელება (საშტატო/შტატგარეშეს დაკონკრეტებით), შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები, შრომის ანაზღაურების ოდენობა, აპლიკანტისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიული და საქმიანი თვისებები, კომისიისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, დოკუმენტების წარდგენის ვადები და სხვა.
11. აპლიკანტი ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში საკონკურსო დოკუმენტებს გზავნის ელექტრონულად მისამართზე vacancy@tsu.ge და სათაურის ველში უთითებს კონკრეტული პოზიციის/ვაკანსიის დასახელებას.
12. კონკურსის წესით დამხმარე პოზიციაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით იქმნება კომისია. კომისიის მუშაობის შედეგები ფორმდება შესაბამისი ოქმით/ოქმებით.
13. კომისიას მუშაობის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შეუძლია შესაბამისი დარგის ექსპერტის/ექსპერტების მოწვევა.

14. კომისია პირველ ეტაპზე აფასებს აპლიკანტის მონაცემთა შესაბამისობას კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
15. მეორე ეტაპზე, აპლიკანტი/აპლიკანტები, ვისი დოკუმენტაციაც აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე საკონკურსო კომისიასთან გადის გასაუბრებას. პოზიციის სპეციფიკიდან გამომდინარე, აპლიკანტს/აპლიკანტებს შესაძლებელია მიეცეს წერიტი დავალება, რის თაობაზეც მითითებული უნდა იყოს სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივ აქტში.
16. აპლიკანტის გამოუცხადებლობა ან უარის თქმა გასაუბრებაზე, წარმოადგენს მისი კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
17. საკონკურსო პოზიციაზე შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და შერჩეულად ითვლება ის აპლიკანტი, ვინც მიიღებს მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
18. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია შეაჯერებს კონკურსის შედეგებს და შერჩეულ კანდიდატს/კანდიდატებს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დასაქმების მიზნით.
19. კომისიის გადაწყვეტილება ეფუძნება წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის მონაცემებსა და გასაუბრების შედეგებს.
20. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოსცეს სამართლებრივი აქტი, რის საფუძველზეც შერჩეულ კანდიდატთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.
21. კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით

1. დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება შესაძლებელია განხორციელდეს კონკურსის გარეშე, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე.
2. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წერილობით მიმართვაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კონკრეტულ სამტატო/შტატგარეშე პოზიციაზე დამატებითი კადრის დასაქმების საჭიროება, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და სპეციფიკა, ასევე დასაქმებულისათვის წაყენებული ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები (განათლება, სამუშაო გამოცდილება, უნარ-ჩვევები), პოზიციისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ცოდნა.
3. გადაწყვეტილებას სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი კანდიდატის დანიშვნის თაობაზე იღებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე მიღებული დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 7. შრომითი ხელშეკრულება

1. დამხმარე პოზიციაზე მიღებულ პირთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.
2. შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა განისაზღვრება პოზიციისა და შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით.
3. დამხმარე პოზიციაზე, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, შესაძლებელია დაიდოს შრომითი ხელშეკრულება წერილობითი ფორმით, გამოსაცდელი ვადით, არაუმეტეს 6 თვით. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დასაქმებულთან ნებისმიერ დროს შესაძლებელია დაიდოს ვადიანი ან უვადო ხელშეკრულება ან შეწყდეს მასთან გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულება.
4. შრომითი ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმდეს 1 წლით ან 1 წელზე მეტი ხნით ან განსაზღვრული ვადით.
5. განსაზღვრული ვადით შრომითი ხელშეკრულება ფორმდება იმ შემთხვევაში როცა შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის ან სეზონური სამუშაო, დროებით იზრდება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება განსაზღვრული ვადით შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისთვის.
6. შრომით ხელშეკრულებაში ასახულია შრომითი ურთიერთობის არსებითი ასპექტები: ხელშეკრულების საგანი და მოქმედების ვადა, სამუშაო ადგილი, დამსაქმებლის და დასაქმებულის უფლება-მოვალეობები, შრომის ანაზღაურების ოდენობა, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველები, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებით სარგებლობის უფლება, დავების გადაწყვეტის საკითხი და სხვა.

მუხლი 8. შრომის ანაზღაურება

1. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა (სახელფასო ფონდი) განისაზღვრება დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში.
2. კონკრეტულ საშტატო პოზიციაზე დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით დადგენილი თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.
3. შტატგარეშე პოზიციაზე დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ - შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით.

მუხლი 9. შრომის ანაზღაურების გაცემის წესი და პირობები

1. დამხმარე პერსონალზე შრომის ანაზღაურება გაცემა უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი წესით დადგენილი საშტატო განაკვეთის ან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით - კვალიფიკაციის, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხის და შედეგების მიხედვით.
2. დამხმარე პერსონალს, დადგენილი წესის მიხედვით, შესაძლებელია განესაზღვროს თანამდებობრივ სარგოზე დანამატი კვალიფიკაციისა და ფუნქციური დატვირთვის (განათლების ხარისხი, სამუშაო გამოცდილება, საპასუხისმგებლო დატვირთვა) გათვალისწინებით - შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.
3. დამხმარე პერსონალს ზეგანაკვეთური სამუშაო აუნაზღაურდება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით.

4. დამხმარე პერსონალზე პრემიის, კონორარის, კომპენსაციის და სხვა გაცემა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით - გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
5. პერსონალს შრომის ანაზღაურება ეძლევა თვეში ერთხელ, არაუგვიანეს შესაბამისი თვის ბოლო სამუშაო დღისა.
6. შრომის ანაზღაურების გაცემა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
2. წინამდებარე წესში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

ლაშა სალინაძე



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი**

დასახელება	2023 წელი	2024 წელი
• ნაშთი წლის დასაწყისში	6 593 951	21 149 450
• შემოსავლები	110 714 939	110 263 015
მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება, კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	82 228 684	76 130 510
მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა)	13 793 686	15 488 505
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსება- „ინფრასტრუქტურის განვითარების“	513 204	500 000
მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან (მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის რეგიონალური კვლევითი ცენტრი ჰაბი, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, ფრანგულ-	289 425	184 000
მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან (აბეტი, და სხვადასხვა პროექტები)	1 672 536	1 700 000
მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან -სახელმწიფო სტიპენდია	1 976 400	3 990 000
მათ შორის:შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან	8 016 004	9 000 000
მათ შორის:საერთაშორისო გრანტებიდან	2 225 000	3 270 000
• სულ	117 308 889	131 412 465

ააიპ საკალათბურთო გუნდი თსუ	1 919 634	850 000
